



2023 წ.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-მარტი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, აკრილი, 2023 წ.



2023 წლის იანვარ-მარტში:


- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **4,900.5 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 22.4%-ს, ხოლო 3 თვის გეგმის 103.5%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 83.9%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **4,659.1 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 21.3%-ს, ხოლო 3 თვის გეგმის 96.3%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 80.9%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **241.4 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 აპრილისთვის - **1,488.9 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-მარტში შემოსულობების შესრულება შეადგენს 4,900.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 22.4%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 74.3 მლნ ლარით (1.5%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 4,659.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 21.3%) და 392.7 მლნ ლარით (9.2%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-მარტის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 3 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 3 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 3 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია¹ 4,733.3 მლნ ლარით, ხოლო 3 თვის შესრულება მის 103.5%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ შემოსულობების ყველა კომპონენტი გადაჭარბებით არის შესრულებული. კერძოდ, შემოსავლების კომპონენტის შესრულება 3 თვის გეგმის 102.0%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების კლება - 106.0%-ს, ფინანსური აქტივების კლება - 103.8%-ს, ხოლო ვალდებულებების ზრდა - 126.6%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 4,835.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 3 თვის შესრულება 3 თვის გეგმის 96.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 95.0%-ს უტოლდება. 3 თვის გეგმასთან შედარებით, გადაჭარბებით არის შესრულებული არაფინანსური აქტივების ზრდა - 3 თვის გეგმის 113.2%. ვალდებულებების კლებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები კი შესრულების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 3 თვის გეგმის 89.6% და 62.2%).


¹ „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება.

დასახელება	2023 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	3 თვის შესრულება	3 თვე/3 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	3 თვის შესრულება	3 თვე/3 თვის გეგმა
შემოსულობები	21,914.2	4,733.3	4,900.5	103.5%	გადასახდელები	21,880.1	4,835.7	4,659.1	96.3%
შემოსავლები	17,619.9	4,335.8	4,422.8	102.0%	ხარჯები	16,335.2	3,964.4	3,768.0	95.0%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	28.0	29.7	106.0%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	515.4	583.3	113.2%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	86.5	89.7	103.8%	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	40.9	25.4	62.2%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	283.0	358.2	126.6%	ვალდებულებების კლება	1,218.5	315.1	282.4	89.6%

ცხრილი 1: 2023 წლის 3 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო² 3 თვეში შეადგინა 654.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდო³ - 101.2 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 3 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 3 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 3 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.6 მლნ ლარი. იანვარ-მარტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 241.4 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 აპრილისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,488.9 მლნ ლარის ოდენობით.


² საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.

³ მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მარტის თვის მაჩვენებლები

2023 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,864.4 მლნ ლარი, რაც 420.6 მლნ ლარით მეტია თებერვლის მაჩვენებელზე, ხოლო წინა წლის მარტის მაჩვენებელს 99.1 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2023 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განუღ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,633.6 მლნ ლარს, რაც თებერვლის მაჩვენებელზე 105.5 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის მარტის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 11.1 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)


რაც შეეხება მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (76.0%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (21.9%) ხარჯზე. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 29.6 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების კლების სახით - 8.1 მლნ ლარი.

2023 წლის მარტში ხარჯების მაჩვენებელმა 1,295.0 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებმა, შესაბამისად - 216.4 მლნ ლარი და 10.2 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 112.0 მლნ ლარს გაუტოლდა.




დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)



დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)


შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების** მიმოხილვა, რაზეც მარტში მიღებული შემოსავლების 92.8%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 70.6% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,315.4 მლნ ლარი, თებერვლის მაჩვენებელზე (1,309.6 მლნ ლარი) 5.8 მლნ ლარით მეტი. წინა თვესთან შედარებით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

მცირედი მატება ძირითადად უკავშირდება, ერთი მხრივ, მოგების გადასახადის ზრდას⁴ (რომლის სახითაც მარტის თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 386.5 მლნ ლარი, 215.0 მლნ ლარით მეტი), მეორე მხრივ, სხვა გადასახადის კლებას⁵ (რომლის მოცულობაც შემცირებულია 427.7 მლნ ლარით და -260.8 მლნ ლარს შეადგენს). წინა თვესთან შედარებით ყველა სახის გადასახადიდან შემოსავალი (გარდა სხვა გადასახადისა) გაზრდილია: საშემოსავლო გადასახადი მომატებულია 83.7 მლნ ლარით, დღგ - 88.5 მლნ ლარით, აქციზიდან - 40.9 მლნ ლარით (ძირითადად იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის 87.9%-იანი ზრდის გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 5.3 მლნ ლარით.

ხარჯები სახეების მიხედვით



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, **ხარჯებს**, იგი მარტში გაწეული მთლიანი გადასახდელების 79.3%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა მარტში შეადგინა 1,295.0 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,243.1 მლნ ლარი) 51.9 მლნ ლარით მეტი, რაც ძირითადად დაკავშირებულია გრანტების (30.3 მლნ ლარით), აგრეთვე, სუბსიდიების (19.1 მლნ ლარით), შრომის ანაზღაურების (16.1 მლნ ლარით), სოციალური უზრუნველყოფისა (14.5 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების (12.4 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების ზრდასთან. წინა თვესთან შედარებით შემცირებულია სხვა ხარჯებისა (26.6 მლნ ლარით) და პროცენტის (13.9 მლნ ლარით) მუხლების დაფინანსება.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდომ** შეადგინა 122.5 მლნ ლარი, ხოლო **მთლიანმა სალდომ** - -64.3 მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მარტში მიღებული შემოსულობებისა (1,864.4 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,633.6 მლნ ლარი) გათვალისწინებით, მარტის თვეში **ნაშთის დაგროვებამ** შეადგინა **230.8 მლნ ლარი**.


⁴ 31 მარტისთვის ხდება წარდგენა მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციისა იმ პირთა მიერ რომელთა საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი.

⁵ 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სხვა გადასახადის* მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 4,900.5 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 90.3%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია, რაც ძირითადად განპირობებულია საგადასახადო შემოსავლების მატებით. რაც შეეხება შემოსავლების წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, 2022 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 82.9%-ს, ხოლო 2021 წელს - 69.4%-ს. ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი კი, წინა წლებთან შედარებით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად მთლიან შემოსულობებში, შემცირებულია: კერძოდ, 2023 წლის 3 თვეში ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მაჩვენებელი მთლიანი შემოსულობების 7.3%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 16.0%-ს და 2021 წელს 29.7%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.4%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2022 წელს 1.1%-ს, ხოლო 2021 წელს 0.9%-ს შეადგენდა.

2021-2023 წწ. 3 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 3 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსავლების სახით 3 თვეში მიღებულია 4,422.8 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 102.0% და წლიური გეგმის 25.1%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 422.4 მლნ ლარით (10.6%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, 3 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტების, ასევე, სხვა შემოსავლების მაჩვენებლები, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარ-მარტში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 4,113.0 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 100.3%-ს და წლიური გეგმის 25.2%-ს შეადგენს. 3 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი (გარდა მოგების გადასახადისა, რომლის შესრულების მაჩვენებელი 96.6%-ს შეადგენს) მობილიზების მაღალი დონით გამოირჩევა და 107.2%-130.4%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 3 თვეში მისი საგეგმო მოცულობა განისაზღვრა 302.0 მლნ ლარის ოდენობით, ფაქტობრივი მაჩვენებელი კი -33.7 მლნ ლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გადასახადების მოცულობა 425.0 მლნ ლარით (11.5%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება ძირითადად განპირობებულია დღგ-ს, საშემოსავლო გადასახადისა და აქციზის ზრდით (შესაბამისად, 21.5%-ით, 26.4%-ით და 35.7%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 227.4 მლნ ლარით (23.3%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-მარტში დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,585.4 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 280.3 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 246.7 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 33.6 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 35.7%-ით (114.3 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 94.9 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 77.0 მლნ ლარით (97.0%-ით) მეტი შემოსავალი).



დიაგრამა 9: 2022-2023 წწ. 3 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (114.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 3 თვის გეგმის 131.4%-ს და წლიური გეგმის 41.1%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტებისა (3 თვის გეგმის 104.6%) და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავლის (3 თვის გეგმის 136.2%) გადაჭარბებით მიღებასთან, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 3 თვეში მიღებულია 25.7 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია საინვესტიციო გრანტები 1.9 მლნ ლარის ოდენობით (3 თვის გეგმის 18.8%).

სხვა შემოსავლების სახით 3 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 194.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 130.7% და წლიური გეგმის 18.6%. აღნიშნული მეტობა დაკავშირებულია არაკლასიფიცირებულ ტრანსფერებთან, რომლის სახით ბიუჯეტში შემოსულია გეგმის 149.7%. ძირითადი შემოსავალი (40.0%) მიღებულია საკუთრებიდან (კერძოდ, პროცენტის სახით, 70.9 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (სხვა შემოსავლების 31.5%, 61.4 მლნ ლარის ოდენობით).

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით იანვარ-მარტში მიღებულია 29.7 მლნ ლარი, რაც 3 თვის გეგმის 106.0%-ს შეადგენს. მ.შ. ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოვიდა 23.8 მლნ ლარი, ხოლო არანარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან - 5.9 მლნ ლარი.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, ასევე, გადაჭარბებით იქნა მიღებული: ბიუჯეტში ჩაირიცხა 89.7 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 103.8%, რაც წინა წლის მაჩვენებელს 69.2 მლნ ლარით (4.4-ჯერ) აღემატება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით 3 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 358.2 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 126.6%. საგარეო დაფინანსების წყაროდან სახსრების გადაჭარბებით მიღების გავლენით. კერძოდ, საინვესტიციო კრედიტების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე 77.1 მლნ ლარით (35.4%-ით) მეტი, ხოლო საბიუჯეტო კრედიტების სახით - 0.3 მლნ ლარი (თუმცა 3 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის).

	3 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	358.2	126.6%	9.8%
საგარეო	295.5	135.5%	13.2%
საბიუჯეტო კრედიტები	0.3		0.1%
საინვესტიციო კრედიტები	295.2	135.4%	16.0%
საშინაო	62.8	96.6%	4.5%


ცხრილი 2 : 2023 წლის 3 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 62.8 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის გეგმის 96.6%).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 4,659.1 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 80.9%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით. კერძოდ, 2021 წლის 3 თვეში ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 79.0%-ს, ხოლო 2022 წლის 3 თვეში - 80.5%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-მარტში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 12.5% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 0.5% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 6.1%. 2022 წლის იანვარ-მარტში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 12.8%-ის, 0.3%-ის და 6.4%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის იანვარ-მარტში - 11.6%-ის, 1.9%-ის და 7.5%-ის ოდენობებით.

2021-2023 წწ. 3 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-მარტში (მლნ ლარი)

ხარჯების შესრულებამ იანვარ-მარტში შეადგინა 3,768.0 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 95.0% და წლიური გეგმის 23.1%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 333.4 მლნ ლარით (9.7%-ით) მეტია.

აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა, რომელიც შემცირებულია 77.4 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის პროცენტის (130.1 მლნ ლარი) მუხლზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სოციალური უზრუნველყოფის (101.3%), სუბსიდიების (99.0%) და პროცენტის (95.3%) მუხლები. 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება სხვა ხარჯების (94.7%), შრომის ანაზღაურების (91.5%), საქონელი და მომსახურებისა (84.2%) და გრანტების (82.8%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (307.2 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 209.5 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 97.7 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (1,581.4 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (1,206.2 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (259.8 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (82.0 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 3 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (583.3 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 113.2%-ს და წლიური გეგმის 15.0%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (270.9 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (72.5 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (52.8 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (51.0 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (43.2 მლნ ლარი) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (31.2 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (25.4 მლნ ლარი), 3 თვის გეგმის 62.2%-ს და წლიური გეგმის 5.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამების ფარგლებში გაცემულ სესხებზე:
 - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 13.0 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით,
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში გაცემულ სესხებზე:
 - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 11.6 მლნ ლარის ოდენობით,
 - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 0.4 მლნ ლარის ოდენობით
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 0.1 მლნ ლარის ოდენობით.

ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (282.4 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 89.6%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით - 23.2%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 269.7 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	3 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	282.4	89.6%	23.2%
საგარეო	269.7	89.3%	22.9%
საშინაო	12.6	97.8%	29.4%


ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 3 თვეში (მლნ ლარი, %)

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების იანვარ-მარტის შესრულება მოიცავს **დამატებით 4 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 2.3 ათასი ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-მარტში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 586.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 92.5% და წლიური გეგმის 24.3%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 148.7 მლნ ლარი, საიდანაც 38.8 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 104.7 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 5.1 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-მარტში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 82.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 44.7 მლნ ლარის, 4.2 მლნ ლარის და 0.8 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის⁶ მიხედვით შეადგინა 4,351.3 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 97.1% და წლიური გეგმის 21.5%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:



დიაგრამა 12: 2023 წლის 3 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-მარტში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

⁶ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 3 თვის შემოსულობა	2022 წლის 3 თვის შემოსულობა	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა*	2023 წლის 3 თვის შემოსულობა	2023 წლის 3 თვის შემოსულობა / 2023 წლის 3 თვის გეგმა		2023 წლის 3 თვის შემოსულობა / 2022 წლის 3 თვის შემოსულობა		2023 წლის 3 თვის შემოსულობა წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	4,339.6	4,826.1	21,914.2	4,733.3	4,900.5	167.2	103.5%	74.3	1.5%	22.4%
შემოსავლები	3,010.6	4,000.4	17,619.9	4,335.8	4,422.8	87.0	102.0%	422.4	10.6%	25.1%
გადასახადები	2,661.3	3,688.1	16,290.4	4,099.3	4,113.0	13.8	100.3%	425.0	11.5%	25.2%
საშემოსავლო გადასახადი	779.5	1,126.4	5,140.0	1,266.0	1,424.0	158.0	112.5%	297.6	26.4%	27.7%
მოგების გადასახადი	430.0	690.0	2,000.0	695.0	671.1	-23.9	96.6%	-18.9	-2.7%	33.6%
დღგ	976.4	1,305.1	6,670.4	1,478.3	1,585.4	107.1	107.2%	280.3	21.5%	23.8%
აქციზი	306.7	319.8	2,100.0	333.0	434.1	101.1	130.4%	114.3	35.7%	20.7%
იმპორტის გადასახადი	17.0	22.4	130.0	25.0	32.1	7.1	128.4%	9.7	43.5%	24.7%
სხვა გადასახადები	151.8	224.4	250.0	302.0	-33.7	-335.7	-11.2%	-258.1	-115.0%	-13.5%
გრანტები	201.5	164.3	279.6	87.4	114.9	27.4	131.4%	-49.5	-30.1%	41.1%
სხვა შემოსავლები	147.8	148.0	1,050.0	149.1	194.9	45.8	130.7%	46.9	31.7%	18.6%
არაფინანსური აქტივების კლება	18.7	34.9	200.0	28.0	29.7	1.7	106.0%	-5.2	-14.8%	14.8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ბამოკლებით)	20.0	20.5	450.0	86.5	89.7	3.2	103.8%	69.2	337.0%	19.9%
ვალდებულებების ზრდა	1,290.3	770.3	3,644.3	283.0	358.2	75.2	126.6%	-412.1	-53.5%	9.8%
საგარეო	1,551.4	358.9	2,244.3	218.0	295.5	77.4	135.5%	-63.5	-17.7%	13.2%
საშინაო	-261.1	411.4	1,400.0	65.0	62.8	-2.2	96.6%	-348.6	-84.7%	4.5%
გადასახდელები	3,929.6	4,266.4	21,880.1	4,835.7	4,659.1	-176.6	96.3%	392.7	9.2%	21.3%
ხარჯები	3,102.8	3,434.6	16,335.2	3,964.4	3,768.0	-196.3	95.0%	333.4	9.7%	23.1%
შრომის ანაზღაურება	409.9	433.3	2,236.7	556.3	509.3	-47.0	91.5%	76.0	17.5%	22.8%
საქონელი და მომსახურება	335.9	415.0	2,025.5	508.8	428.3	-80.5	84.2%	13.3	3.2%	21.1%
პროცენტი	181.5	177.1	1,201.0	322.2	307.2	-15.0	95.3%	130.1	73.4%	25.6%
სუბსიდიები	158.1	171.0	927.6	226.3	223.9	-2.3	99.0%	53.0	31.0%	24.1%
გრანტები	108.8	148.6	1,275.8	256.5	212.5	-44.0	82.8%	64.0	43.1%	16.7%
სოციალური უზრუნველყოფა	1,469.6	1,506.9	6,447.9	1,560.4	1,581.4	21.0	101.3%	74.5	4.9%	24.5%
სხვა ხარჯები	438.9	582.8	2,220.7	533.9	505.4	-28.5	94.7%	-77.4	-13.3%	22.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	454.3	545.3	3,881.3	515.4	583.3	67.9	113.2%	38.0	7.0%	15.0%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის ბამოკლებით)	76.2	12.3	445.1	40.9	25.4	-15.4	62.2%	13.2	107.2%	5.7%
ვალდებულებების კლება	296.4	274.2	1,218.5	315.1	282.4	-32.7	89.6%	8.1	3.0%	23.2%
საგარეო	264.7	261.4	1,175.6	302.2	269.7	-32.5	89.3%	8.3	3.2%	22.9%
საშინაო	31.7	12.9	42.9	12.9	12.6	-0.3	97.8%	-0.2	-1.7%	29.4%
ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - ბამოყენება)	410.0	559.7	34.1	-102.4	241.4	343.8		-318.4		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №437)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 3 თვის შესრულება	2022 წლის 3 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 3 თვის შესრულება	2023 წლის 3 თვის შესრულება / 2023 წლის 3 თვის გეგმა		2023 წლის 3 თვის შესრულება / 2022 წლის 3 თვის შესრულება		2023 წლის 3 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსავლები	3,010.6	4,000.4	17,619.9	4,335.8	4,422.8	87.0	102.0%	422.4	10.6%	25.1%
გადასახადები	2,661.3	3,688.1	16,290.4	4,099.3	4,113.0	13.8	100.3%	425.0	11.5%	25.2%
გრანტები	201.5	164.3	279.6	87.4	114.9	27.4	131.4%	-49.5	-30.1%	41.1%
სხვა შემოსავლები	147.8	148.0	1,050.0	149.1	194.9	45.8	130.7%	46.9	31.7%	18.6%
ხარჯები	3,102.8	3,434.6	16,335.2	3,964.4	3,768.0	-196.3	95.0%	333.4	9.7%	23.1%
შრომის ანაზღაურება	409.9	433.3	2,236.7	556.3	509.3	-47.0	91.5%	76.0	17.5%	22.8%
საქონელი და მომსახურება	335.9	415.0	2,025.5	508.8	428.3	-80.5	84.2%	13.3	3.2%	21.1%
პროცენტი	181.5	177.1	1,201.0	322.2	307.2	-15.0	95.3%	130.1	73.4%	25.6%
სუბსიდიები	158.1	171.0	927.6	226.3	223.9	-2.3	99.0%	53.0	31.0%	24.1%
გრანტები	108.8	148.6	1,275.8	256.5	212.5	-44.0	82.8%	64.0	43.1%	16.7%
სოციალური უზრუნველყოფა	1,469.6	1,506.9	6,447.9	1,560.4	1,581.4	21.0	101.3%	74.5	4.9%	24.5%
სხვა ხარჯები	438.9	582.8	2,220.7	533.9	505.4	-28.5	94.7%	-77.4	-13.3%	22.8%
საოპერაციო სალდო	-92.2	565.8	1,284.7	371.4	654.8	283.3	176.3%	89.0	15.7%	51.0%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	435.5	510.4	3,681.3	487.4	553.6	66.2	113.6%	43.2	8.5%	15.0%
ზრდა	454.3	545.3	3,881.3	515.4	583.3	67.9	113.2%	38.0	7.0%	15.0%
კლება	18.7	34.9	200.0	28.0	29.7	1.7	106.0%	-5.2	-14.8%	14.8%
მთლიანი სალდო	-527.7	55.4	-2,396.6	-115.9	101.2	217.1	-87.3%	45.8	82.7%	-4.2%
ფინანსური აქტივების ცვლილება	466.2	551.5	29.2	-148.0	177.1	325.1	-119.6%	-374.4	-67.9%	606.3%
ზრდა	486.2	572.0	479.2	40.9	266.8	225.9	652.5%	-305.2	-53.4%	55.7%
ვალუტა და დეპოზიტები	410.0	559.7	34.1	0.0	241.4	241.4		-318.4	-56.9%	707.7%
სესხები	76.2	12.3	445.1	40.9	25.4	-15.4	62.2%	13.2	107.2%	5.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
კლება	20.0	20.5	450.0	188.9	89.7	-99.2	47.5%	69.2	337.0%	19.9%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	102.4	0.0	-102.4	0.0%	0.0		
სესხები	20.0	19.8	450.0	86.5	89.7	3.2	103.8%	69.9	352.3%	19.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.7	0.0	0.0	0.0	0.0		-0.7	-100.0%	
ვალდებულებების ცვლილება	993.9	496.1	2,425.8	-32.1	75.9	108.0	-236.4%	-420.2	-84.7%	3.1%
ზრდა	1,290.3	770.3	3,644.3	283.0	358.2	75.2	126.6%	-412.1	-53.5%	9.8%
საშინაო	-261.1	411.4	1,400.0	65.0	62.8	-2.2	96.6%	-348.6	-84.7%	4.5%
საგარეო	1,551.4	358.9	2,244.3	218.0	295.5	77.4	135.5%	-63.5	-17.7%	13.2%
კლება	296.4	274.2	1,218.5	315.1	282.4	-32.7	89.6%	8.1	3.0%	23.2%
საშინაო	31.7	12.9	42.9	12.9	12.6	-0.3	97.8%	-0.2	-1.7%	29.4%
საგარეო	264.7	261.4	1,175.6	302.2	269.7	-32.5	89.3%	8.3	3.2%	22.9%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 3 თვის შესრულება	2023 წლის 3 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 3 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	4,835.7	4,659.1	21.3%	96.3%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	19.2	18.0	23.3%	94.0%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	15.7	15.2	23.8%	96.6%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და სახედაომხედველო საქმიანობა	23.5	5.9	4.7	20.0%	79.2%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	2.0	1.8	23.4%	93.7%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	7.8	8.7	26.7%	110.5%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	7.8	8.7	26.8%	110.6%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.01	0.005	10.6%	42.5%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	3.0	2.5	20.5%	81.6%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.2	0.1	17.4%	67.0%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.3	0.3	23.6%	92.1%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	3.2	2.3	24.8%	71.7%
03 00	საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი	0.8	0.2	0.2	20.9%	83.5%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	7.4	5.7	23.8%	77.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	6.5	4.0	18.9%	61.7%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	13.4	10.7	19.2%	79.9%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	4.8	4.2	19.4%	87.7%
06 02	საარჩევნო ინსტიტუტის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	0.5	0.3	18.4%	63.8%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.2	3.2	25.0%	100.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	5.0	3.1	15.3%	61.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	1.6	1.1	19.6%	72.9%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	4.3	3.6	22.7%	85.0%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	25.2	22.0	18.8%	87.6%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	24.5	21.7	19.0%	88.5%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	0.6	0.3	13.4%	53.6%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	2.5	1.2	15.4%	49.4%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	0.4	0.3	25.1%	83.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	23.0%	80.9%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	0.4	0.3	27.4%	85.0%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, სვანეთის, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.3	26.6%	88.6%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 3 თვის შესრულება	2023 წლის 3 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 3 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	21.8%	70.4%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	22.8%	75.2%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.3	0.2	24.3%	86.8%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	0.6	0.3	23.8%	58.3%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.3	0.3	24.4%	81.5%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	46.8	40.1	22.3%	85.7%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	147.7	36.9	32.0	21.7%	86.7%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	30.0	9.3	7.6	25.3%	81.9%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	2.4	0.6	0.5	21.6%	82.5%
21 00	საქართველოს პროკურატურა	56.5	14.5	11.6	20.5%	79.8%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3.7	1.3	0.6	15.3%	42.4%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	106.0	27.9	18.2	17.1%	65.2%
